განმარტებითი ბარათი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში 2022 წელში და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეულ სამუშაოებთან დაკავშირებით

1. ზოგადი ინფორმაცია განკარგულების პროექტის შესახებ:

ა) ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ანგარიში მოიცავს ინფორმაციას 2022 წელში და 2023 წლის პირველ კვარტალში გაწეულ სამუშაოებთან დაკავშირებით. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები: გზებისა და ტროტუარების რეაბილიტაცია მშენებლობა და მოვლა -პატრონობა; სანიაღვრე სისტემების მშენებლობა; საყრდენი კედლების მშენებლობა; გამწვანების და სკვერების კეთილმოწყობა; საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის განვითარება; სპორტული ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეკონსტრუქცია; მემორიალური დაფებისა და პანთეონების მოვლა-პატრონობა; ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია; მრავალსართულიანი სახლების ფასადებისა და ეზოების კეთილმოწყობა; მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის განვითარება; ნარჩენების მართვა.

ბ) გაუმჯობესებული ხარისხი და ინფრასტრუქტურა; ქალაქ ქუთაისის მაცხოვრებლებისათვის სუფთა გარემო პირობები; მოწესრიგებული სკვერები, ქუჩები, შენობა-ნაგებობები; ქალაქი ქუთაისის მაცხოვრებლებისათვის და სტუმრებისათვის გამართული ტურისტული ინფრასტრუქტურის მიწოდება.

2. განკარგულების პროექტის ფინანსური დასაბუთება:

პროექტში მითითებული ობიქტების დაფინანსება მოხდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

3. განკარგულების პროექტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

განკარგულების პროექტის შემუშავებაში ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერთან ერთად მონაწილეობდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

4. განკარგულების პროექტის ინიციატორი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი - იოსებ ხახალეიშვილი.

5. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტის წარმომდგენი პირი:

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განკარგულების პროექტს წარმოადგენს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის მუნიციპალური და საბინაო ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ანტონ ჩიხლაძე.

იოსები ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი